

ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის: საქართველო და სომხეთი 1988-1990
წლებში - შედარებითი ანალიზი

ანა ბრაგვაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერება (საბჭოთა კვლევები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ტიმოთი ბლაუველტი, პოლიტიკის მეცნიერების
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა ბრაგვაძე

23.01.2019

აბსტრაქტი

მოცემული სამაგისტრო ნაშრომის მიზანია 1988-1990 წლებში საქართველოსა და სომხეთში განვითარებული მოვლენების აღწერა და ერთმანეთთან შედარება. ქვეყნეში მიმდინარე პროცესების დინამიკის ილუსტრირებით, შევეცადე წარმომეჩინა ის განსხვავებები, რომლებიც საქართველოს ეროვნულ-განამთავისუფლებელ მოძრაობასა და სომხეთში ყარაბაღის მოძრაობას შორის არსებობდა. ტექსტი წარმოადგენს ღია წყაროების ანალიზის საფუძველზე ჩატარებული კვლევის ანგარიშს. ლიტერატურის მიმოხილვაში აღწერე ამ მოძრაობების ჩამოყალიბების ისტორიული წინაპირობები და წარმოვადგინე თეორიული ჩარჩო, რომლის კონტექსტშიც დასკვნის ნაწილიში ვსაუბრობ ამ მოძრაობების შედეგებზე. ტექსტის ძირითად ნაწილში ცალ-ცალკე მაქვს განხილული სომხეთისა და საქართველოს ქეისები 1988-1990 წლებში. დეტალურად მიმოვიხილავ როგორ, საიდან და რატომ გაჩნდა ეროვნული მობილიზება, ვინ იყვნენ მათი ლიდერები, რა იდეოლოგიურ დღის წესრიგზე იყო ისინი დამყარებული და 1990-იანი წლების დასაწყისში რა შედეგებით დასრულდა ყოველივე ზემოთ აღნიშნული. ნაშრომში გამოვთქვამ ვარაუდს, რომ საქართველოში ეროვნულ-განამთავისუფლებელი მოძრაობის ეთნო-ნაციონალურმა პოლიტიკამ სასათბურე პირობები შექმნა ქვეყანაში ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების ჩამოყალიბებისა და გამწვავებისთვის. საქართველოსთან მიმართებაში სომხეთის მაგალითს, ვიყენებ როგორც კონტრასტულ ელემენტს, ქართული ეროვნული მოძრაობის ეთნონაციონალური იდეოლოგიის უკეთ დემონსტრირებისთვის. დასკვნაში, კიდევ ერთხელ მოკლედ ვაჯამებ ნაშრომში განხილულ საკითხებს და შედარებითი მაგალითების საფუძველზე შევეცადე ტექსტში გამოთქმული ვარაუდების არგუმენტებით გამყარებას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ეთნო-ნაციონალიზმი, ეთნიკური კონფლიქტები, ეროვნული მოძრაობები.

Abstract

The aim of the following paper is to describe, analyze and compare the national liberation movements in Georgia and in Armenia in 1988-1990. I attempted to demonstrate the differences between the Georgian national liberation movement and Armenian Karabakh movement. Following text is the report of the desk research that was conducted by gathering, comparing and analyzing open sources on the topic. In the literature review, I discuss the historical background that led to creation of the national liberation movements and suggest the theoretical frame in which I to draw the conclusions. In the main part of the paper, cases of Armenia and Georgia in 1988-1990 are discussed separately. I examine in close detail how, when and why started the national mobilization, who were their leaders, what was ideology behind their narratives and how the results of these events influenced the transition into the independence of these countries in the beginning of 1990's. I argue that ethno-national ideology of Georgia's national movement played the significant role in formation and festering of the ethno-national conflicts. Comparing Armenian case to Georgian helps clearly outline the ethno-nationalist ideology of the Georgian national movement. In the last paragraph, I sum up the topics that are discussed in the main part of the paper and to support my arguments I use more comparative examples.

Key Words: ethno-nationalism, ethnic conflicts, national movements.